



# მოსკოვის სასულიერო აკადემიასა და ჩიკაგოში არსებული სერბეთის წმინდა საბას სასულიერო სემინარიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო



**სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 10.01.2024.** 2024 წლის 23-29 სექტემბერს მოსკოვის სასულიერო აკადემიას სტუმრობდა ჩიკაგოში არსებული ახალი გრაჩანიცას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის მონასტრის წინამძღვარი (სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი გრაჩანიცისა და შუა-დასავლეთ ამერიკის ეპარქია), ჩიკაგოს წმინდა საბა სერბის სასულიერო სემინარიის პროორექტორი და პროფესორი, აკადემიის კურსდამთავრებული არქიმანდრიტი სერგი (პუშკარი).

ვიზიტის მთავარი მიზანი იყო პრეზენტაცია მისი წიგნისა: „წმინდა ნიკოლოზ (ველიმიროვიჩი) სერბის ცხოვრება, მისიონერული მოღვაწეობა და სწავლანი“, რომელიც მოსკოვის სასულიერო აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა.

28 სექტემბერს მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორმა, სერგი-პოსადისა და დიმიტროვის ეპისკოპოსმა კირილემ და არქიმანდრიტმა სერგიმ (პუშკარმა) ხელი მოაწერეს სასულიერო სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას. როგორც **მოსკოვის სასულიერო აკადემიის საიტი იუწყება**, თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი ღონისძიებების, სტუმრის ლექციებისა და ორმხრივი ინტერესების შემცველი სხვა საქმიანობების ორგანიზება.

შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის რექტორის მდივანი, მღვდელმონაზონი დამიანე (ვორონოვი) და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში რექტორის თანაშემწე, მსა-ს გამომცემლობის დირექტორი, დიაკონი დიმიტრი სეროვი.

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/92312/>